

ნიცი ვაჩაძე

## რუსულ დო- პრევერბიან ზმნათა ქართულად გადაოცემის საშუალებანი

(რუსულ-ქართული ლექსიკონების მიხედვით)

დო- ერთი იმ რუსულ პრევერბთაგანია, რომელიც, ჩვეულებრივ, არ კარგავს თავის რეალურ ლექსიურ მნიშვნელობას და არ იქცევა მხოლოდ ასპექტის მარტინობელ საშუალებად.

დო- პრევერბის ლექსიური ფუნქცია ორი ძირითადი მიმართულებით რეალიზდება. უპირველეს ყოვლისა დო- აღნიშნავს სივრცეში ან დროში გარევეული ზღვრის მიღწევას, მეორე მხრივ კი დო- პრევერბთან არის დაკავშირებული რუსული ზმნის ოთხი სხვადასხვა მოქმედების წესის გამოხატვა<sup>1</sup>. ესენია: ფინალურ-შედეგობრივი<sup>2</sup>, ინტენსიურ-შედეგობრივი, უარყოფით-შედეგობრივი და პარტიტიულ-კომპლეტიური<sup>3</sup> (ნაწილობრივ-დამატებითი) მოქმედების წესები<sup>4</sup>.

მოქმედების წესის ცნებასთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ ბოლო ხანებში რუსული პრევერბის მნიშვნელობებს ზმნის მოქმედების წესების დახასიათებისას განიხილავენ, რადგან რუსულ ენაში პრევერბები ზმნის მოქმედების წესების გამოხატვის ძირითად საშუალებას წარმოადგენენ. ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ ასპექტუალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ძირითადად მოიცავს გრამატიკულ კატეგორიას — ასპექტს — და არა-გრამატიკულ კატეგორიას — მოქმედების წესებს. მოქმედების წესები

1 ამ ტერმინის შესახებ იხ. ჩვენი, რუსულ პერე-პრევერბიან ზმნათა ქართულად გაღმოცემის საშუალებანი. აქვთ, გვ. 202—226.

2, 3 ჩვენ ამ შემთხვევაში ვ. შელიაჭიანის ტერმინებს ვხმაროთ. იხ. მისი, კომплетивное значение приставочных глаголов в русском языке: Научные доклады высшей школы, филологические науки, 1965, № 3.

4 ბევრი მკვლევარი ფინალურ მნიშვნელობას უწოდებს კომპლეტიურს.

სემანტიკურად ახლოსაა ასპექტთან, მაგრამ ისინი ვერ ქმნიან მკაფიო პარალიგმულ წყვილებს და ზმნათა შორის ლექსიკურ განსხვავებათ სფეროში რჩებიან<sup>5</sup>. მოქმედების წესები სემანტიკური (ნაწილობრივ, სიტყვაწარმოებით) დაჯგუფებებია, რომლებიც მოქმედების მიმდინარეობის სახეობათა ერთიანობის საფუძველზე გამოიყოფა<sup>6</sup>.

აღსანიშნავია, რომ დო-პრევერბს არა აქვს პირდაპირი შესატყვის ქართულ პრევერბთა შორის და მისი სემანტიკური ნიუანსები სხვადასხვა ქართული პრევერბით გადმოიცემა<sup>7</sup>.

ჩვენ შევისწავლეთ დო-პრევერბის ქართულად გადმოცემის საშუალებები სამ რუსულ-ქართულ ლექსიკონში, კერძოდ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა ეკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ სამტომიან „რუსულ-ქართულ ლექსიკონსა“ (1956—1959; მთავარი რედაქტორი პროფ. ქ. ლომთათიძე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ „რუსულ-ქართულ ლექსიკონსა“ (1937) და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში „Русско-грузинский словарь“ (1846)<sup>8</sup>.

დო-პრევერბის ქართულად გადმოცემის საშუალებებს ჩვენ განვიხილავთ ზემოთ ჩამოთვლილი მისი მნიშვნელობების მიხედვით.

დო-პრევერბიანი ზმნების თარგმანის განხილვისას ჩვენ უნდა გვითვალისწინოთ მათი როგორც სემანტიკური და სემანტიკურ-ასპექტური, ანუ მოქმედების წესის, მნიშვნელობების, ისე წმინდა ასპექტური მნიშვნელობის გადმოცემის საშუალებანი.

1. როგორც უკვე ითქვა, დო-პრევერბი აღნიშნავს გარკვეული ზღვრის მიღწევას, რომელიც, ჩვეულებრივ, დო წინდებულიანი სახელით არის გამოხატული. ეს ზღვარი შეიძლება იყოს სივრცეში ან დროში.

ა) თარგმნითი ლექსიკონების სათანადო მასალის განხილვამ დაგვანახვა, რომ სივრცეში ზღვრის მიღწევის აღმნიშვნელი დო-პრევერბი უმეტეს შემთხვევაში ქართულად მი-, ხოლო პირველ პირთან დამაახ-

5 Ю. С. Маслов, Вопросы глагольного вида в современном зарубежном языкоизнании. ქრებული «Вопросы глагольного вида», Ленинград, 1965, гл. 10.

6 А. В. Бондарко, Л. Л. Буланин, Русский глагол, Ленинград, 1967, гл. 16.

7 Г. Цибахашвили, К вопросу о глагольной префиксации в русском и грузинском языках. Тბილისის საელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 83, ფილологიურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 1959, гл. 269.

8 წერილში მაგალითები ძირითადად მოყვანილია ეკადემიის ლექსიკონიდან.

ლოებელი მიძართულების ჩვენებისას<sup>9</sup> მო- პრევერბით გადმოიცემა. მაგ.: დობეჯა მიზენა (მიირბენ): ია დობეჯ დო მივირბენ; დოვესტა მიუვანა (მიიყვანს), მიცილება (მიაცილებს): დოვესტა დო მიუვანა, მიცილება და სხვ.

სამართლიანადაა შენიშნული, რომ ამ შემთხვევაში მი- ზენით გა-  
მოხატული მოძრაობის დასასრულ პუნქტზე მიუთითებს<sup>10</sup>; რუსული  
დი- პრევერბის და ქართული მი- და მო- პრევერბების საერთო ნიშან-  
თვისებად კი მიახლოების მნიშვნელობის გამოხატვაა მიჩნეული<sup>11</sup>.

Са́лку́шл Ҙе́мткы́зэе́бшо һи́зрү́шо ზღვრის მილ́шээзის აღმნიშვნე-  
ლი до- პრეзერბი ქართულად ა- (ამო-), გა- (გამო-), ჩა- (ჩამო-), შე-  
(შემო-) და გადა- (გადმო-) პრეзერბებით ითარგმნება. მაგ.: დокараб-  
каться აბობღება, აფოტხება, აცოცება; დოянуть აწევა, ამოშევა; დо-  
вести дорогу до деревни გზის სოფლამდე გაუვანა; дерево доросло  
до крыши ხე სახურავამდე გაიზარდა, ავიდა; დоехать ჩამოსვლა (არა-  
ქვეითად): вы скоро доедете до города მალე მიხვალთ, ჩახვალთ  
ქალაქში; допрыгнуть ახტომა, გადახტომა: он допрыгнул до черты  
ხაზამდე გადახტა; до нас долетели чьи-то крики ვილცის უკირის  
შემოგვესმა და სხვ.

9 የልሬሰንዕናያ፣ ስው ምስማሪትሆሉይዎስ የልኩሽናንስተና ጽጊሩይዎ መሠረስ ፖመጥጋዊይ-  
ሆሉይዎስ ሲያጠቻ ክዕስናራል እኔ ዓላው ገዢጋለሚሸነበኛዎላይ ክሆሣለ-ኋላትሆላ ልግፊስ-  
የኋነገድቸው; የህይላዊ ተአመስካለይዎላይ ዘዴ የክርቦ ወያደፈዎስ ለይምሳያናና፣ ተሟምሏ ቤኖግለ-  
ጥያስ እና ወ ሲ ወጋዢልስቸነበኛዎስ ዘዴ ገዢሞጥባናል. የህይላ ዘዴ ማስተካከያዋዎ፣ የኋላ ክፋ-  
ልሆዎ ምስማሪትሆሉይዎስ ሆኝናኝ ሙያዘይፈደል ማግለሰብዎች፣ ደዴ- ምርመራዎስና ዘዴና መሠረስ  
መሠረስና ሁኔታዎች ምርመራዎስና ዘዴና መሠረስና ሁኔታዎች.

<sup>11</sup> Э. Л. Кремер, Глагольные приставки в русском и грузинском языках. Зурабишвилиს სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1950, VIII, გვ. 45 და 46.

ზოგჯერ ქართული პრევერბები სათარგმნი ზმნის ფუძისაგან ჯან-სხვავებულ ფუძეს ერთვის და ასეთი ფორმები სათარგმნი ზმნის მი-მართ განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს. მაგ.: დი-რესტი მიღწევა; დოაშტისა მიღწევა; დიტანება, მიტანება და სხვ.

თითო-ოროლა შემთხვევაში ამ ჯგუფის დო- პრევერბიანი ზმნები უპრევერბო ზმნებით ითარგმნება. მაგ.: დოკინუთ სროლა (ისვრის), ტყორუნა რომელიმე ადგილამდე<sup>12</sup>. ზღვრის მიღწევას ამ შემთხვევაშიც -მდე თანდებული აღნიშნავს.

ამ ტიპის ზმნები პრევერბიანი ზმნებით თარგმნის პარალელურად აღწერითადაც შეიძლება ითარგმნოს მიღწევა, მიწვდენა და მისთ. სიტყვების მეშვეობით. ასეთ თარგმანში რუსული ზმნის ფუძის მნიშ-ვნელობა მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელით არის გამოხატუ-ლი (დოპლიტ ცურვით მიღწევა და სხვ.).

გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი დო- პრევერბიანი ზმნებით გამოხატულ მოქმედებას ფაქტობრივად არავითარი რეალური მიმარ-თულება არა აქვს და არც შეიძლება პქონდეს; ასეთი ზმნები ქართუ-ლად ხშირად განსხვავებული ლექსიმით ითარგმნება. მაგ.: დобраться დо сути дела საქმის არსში ჩაწვდომა; სмысл этих слов не дошел до него ამ სიტყვების აზრს ის ვერ მიხვდა და სხვ. ზოგჯერ კი სათა-ნალო ქართული ზმნაც გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი და, ცხადია, ასეთი ზმნით გამოხატულ მოქმედებასაც არავითარი მიმართუ-ლება არა აქვს. მაგ.: довести до преступления პოროტოქმედებამ-დე მიყვანა; დიйти до крайности უკიდურესობამდე მისვლა და ზოგი სხვ.

სივრცეში ზღვრის მიღწევის აღმნიშვნელი სრულასპექტიანი დო-პრევერბიანი ზმნების წმინდა ასპექტური მნიშვნელობა ხშირად იმავე ქართული პრევერბებით გადმოიცემა, რომლებითაც სათარგმნი ზმნე-ბის გეზია გადმოცემული. მაგ.: დобраться მიღწევა (მიაღწევს); და-ვეზთ მიზადვა (მიზიდავს); დოკარბკაться აზობლება, აფოფხება და სხვ.

ზოგჯერ სრული ასპექტის მნიშვნელობა ქართული ზმნის ფუძის მნიშვნელობით გადმოიცემა: დინება მირბენა (მიირბენს), შდრ.: მირბის; დიკატისა მიგორება (მიგორდება). შდრ.: მიგორავს და ზო-გი სხვ., ზოგჯერ კი — სუბლეტური ფორმებით; მაგ.: დონეს მიტანა (მიიტანს), შდრ.: მიაქვს.

12 რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გა-მოცემა, 1937.

ზოგჯერ ამ ტიპის დო-პრევერბიანი ზმნები ისეთი ქართული ზმნებით ითარგმნება, რომელთაც აწყვისა და მყოფადში საზიარო ფორმა აქვთ. მაგ.: დომჩატ მიაქროლებს; დოსკაკატ მიაჭინებს.

აღწერით თარგმანშიც სრული ასპექტის მნიშვნელობა გაღმოიცემა პრევერბით, რომლებიც ასეთი თარგმანის ზმნურ კომპონენტს ერთვიან, მაგ.: დინისტე სროლით მიწვდენა (მიაწვდენს); დოპლიტ ცურვით მიღწევა (ცურვით მიაღწევს) და სხვ., ზოგჯერ კი ზმნური კომპონენტის ფუძის მნიშვნელობით: დინერე სირბილით მივა, შრდ.: სირბილით მიდის და სხვ.

ამ ჯგუფის უსრულასპექტიანი ზმნები თარგმნისას ზოგ თავისებურებას ავლენენ. აღსანიშნავია, რომ ოუსული პრევერბიანი უსრულასპექტიანი ზმნები მეორეული იმპერიუქტივაციის, ანუ პრევერბიან სრულასპექტიან ფორმებზე სუფიქსის დართვის, შედეგად არიან მიღებული. მათში პრევერბი, კერძოდ დო-პრევერბი, იმავე მიმართულებას ან მოქმედების წესს აღნიშნავს, რასაც სრულასპექტიან კორელატში. უსრული ასპექტის გაცემას [·-ივა- (-ива-), -ა-] სუფიქსები ქმნიან. ასეთი მოვლენა უცხოა ქართული ენისათვის და უს აწვევს ხშირად გარკვეულ სირთულეს ამ ფორმების თარგმნისას. ზოგჯერ ამ ჯგუფის დო-პრევერბიანი უსრულასპექტიანი ზმნები ქართული უპრევერბო ზმნებით ითარგმნება. მაგ.: დინისტე მიღწევა (აღწევს); დოლევა აძრომა (ძვრება); დოთაგივა გაწვდენა (აწვდენს); დოთაგივა მიწვდომა (სწვდება); დორატატ რაიმე ზომამდე გაზრდა (იზრდება); ზღვრის მიღწევას ამ შემთხვევებში ან ქართული ზმნის ფუძის მნიშვნელობა გამოხატავს, ან -დე თანდებული. მაგრამ ხშირ შემთხვევებში თარგმნისას ვერ ხერხდება ამ ჯგუფის უსრულასპექტიანი ზმნების სემანტიკური მხარის გაღმოცემა, ზოგჯერ კი პირიქით — ასპექტურისა. ასე მაგ.: დოკატივათ, დოსკაკატივათ, დოთაგივითა და მიღწების ქართულ შესატყვისებს — მიაგორებს, მიაჭინებს, მიათრევს, მიეთრევა (უსრული ასპექტის მნიშვნელობით) — არ შესწევთ ძალა გამოხატონ ზღვრის მიღწევა; დოლევა, დოვიზე და დინებით თარგმნისაც ვერ ხერხდება რუსული ზმნებისათვის ნიშანდობლივი ზღვრის მიღწევის ჩვენება. ზოგჯერ პირიქით, თარგმანში გაღმოცემულია სათარგმნი ზმნის სემანტიკური მხარე და ასპექტური კი არა. მაგ.: დოკატივათ მიგორდება. მიგორდება აღნიშნავს ზღვრის მიღწევას; მაგრამ სათარგმნი ზმნისაგან განსხვავებით სრულასპექტიანია, გორდება ზმნა უპრევერბოდ სათარგმნი ზმნისაგან განსხვავებულ შინაარსს გამოხატავს. დოკატივათ ზმნა რომ მიგორდებს ფორმით ვთარგმნოთ, მაშინ გაღმოუცემელი აღმოჩნდება მისი სემანტიკური მხარე.

აღსანიშნავია, რომ ისეთ კონტექსტში, სადაც ეს მოხერხდება, ამ ზმნების სათარგმნად საკმაოდ მარჯვე ჩანს ხოლმე ნაწილაკიანი ფორმები. მართალია, ასეთი თარგმანიც არ არის ზუსტი, ასეთი ფორმები სათარგმნი ზმნებისაგან განსხვავებით სრულასპექტიანი არიან, მაგრამ შინაარსით ისინი მაინც ყველაზე ახლოს დგანან რუსულ პრევერბიან უსრულასპექტიან ფორმებთან. მაგ.: დოკატვასთა მიგორდება ხოლმე და მისთ.

8) დროში ზღვრის მიღწევის აღმნიშვნელი დო-პრეცერბიანი ზმეუბი ქართულად უმრავლეს შემთხვევაში უპრეცერბო ზმნებით ითარგმნება. მაგ.: დожить სიცოცხლე (იცოცხლებს), ცხოვრება (იცხოვრებს); ის დожил до ста лет ას წლამდე იცოცხლა; დოлежать წოლა (იწვება); დოлежу до вечера საღამომდე ვიწვები და სხვ. საჭიროა აღნიშოთ, რომ ქართულ თარგმანში ძირითად სემანტიკურ დატვირთვას — ზღვრის მიღწევის ჩვენებას — მდე თანცებული კისრულობს.

ზოგჯერ ასეთი დო-პრევერბიანი ზმნები ქართულად პრევერბიანი ზმნებით ითარგმნება, მაგრამ ეს ზმნები უმეტესწილად სათარგმნი ზმნის მიმართ განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს. მაგ.:  
додержаться გაძლება (გაძლებს), გამაგრება (გამაგრდება); додер-  
жаться до прихода подкрепления მეშველი გარის მოსვლამდე გაძ-  
ლება, გამაგრება; дожить მოსწრება (მოესწრება); он дожил до ра-  
достной жизни ბედნიერ ცხოვრებას მოესწრო; дорасти ჩაიმე... ასა-  
კის გახდომა (გახდება), მიღწევა (მიაღწევს); тебе надо дорасти до  
меня ქერ ჩემოდენა გახდი, ჩემ დორომდე მოყარე და სხვ.

ცალკეულ შემთხვევებში პრევერბი სათარგმნი ზრდის ფუძის შე-  
საბამის ქართულ ფუძეს ერთვის. მაგ.: დორას ოაიმე ასაკამდე გაზ-  
რდა (გაიზრდება); დორები გარკვეულ დრომდე... დაკავება (და-  
კავებს). ყველა ამ შაგალითშიც დო-პრევერბის მიერ გამოხატულ  
ზღვრის მიღწევას - მდგრ თანდებული გამოსკვემს.

ასე რომ, დროში ზღვრის მიღწევის აღმნიშვნელი დო- პრევერბი-  
ანი ზმების თარგმნისას ქართული ზმები მხოლოდ სათარგმნი ზმე-  
ბის ფუძის სემანტიკის გადმოცემას ახერხებს. თვითონ დო- პრევერბით  
გამოხატულ დროში ზღვრის მიღწევის ჩვენებას კი -მდე (-მდის) თან-  
დებული კისრულობას.

დღიუში ზღვრის მიღწევის აღმნიშვნელი დო-პრევერბიანი ზმნების პრევერბიანი ზმნებით თარგმნისას ქართული პრევერბები სათარგმნი ზმნის სრული ასპექტის მნიშვნელობას გადმოსცემენ: დოЖИТЬ მოსწრება (მოესწრება) და სხვ.

უსრულასპექტიანი ზმნების სათარგმნად იმავე ზმნების უპრეცენტო ფორმები გვხდება. მაგ.: дорастать რაიმე... ასაკამდე გაზრდა (იზ-

რდება); додерживать гаრკვეულ დრომდე... დაკავება (აკავებს); дотерживаться გაძლება (ძლებს) და სხვ. რაც შეეხება ამ გაუფის ზმნების შესაბამისს ქართულ უპრევერბო ზმნებს, აღსანიშნავია, რომ ისინი აშშულსა და მყოფადს ფორმათმონაცვლეობით განარჩევენ; შდრ., მაგ.: доживает оცოცხლებს, оცხოვრებს და доживает ცოცხლებს, ცხოვრობს; долежит იწვება, შდრ. წევს; дорабатает იმუშავებს, იმსახურებს, შდრ. მუშაობს, მსახურობს; доспит იძინებს, შდრ. სძინავს და სხვ.

2. ფინალურ-შედეგობრივი მოქმედების წესის გამომხატველი დოპრევერბიანი ზმნები მოქმედების ბოლო ფაზის დასრულებას აღნიშნავს. ასეთ ზმნებში ივარაუდება ზმნის ფუძით გამოხატული რაღაც ხანგრძლივი მოქმედების პროცესი, რომელიც წინ უძღვის მოქმედების დასრულებას. მაგ.: дописать, доработать და სხვ. აი ეს ორი ძრითადი კომპონენტი განსაზღვრავს ფინალურ-შედეგობრივი მოქმედების წესის სემანტიკას.

რუსულ-ქართული ლექსიკონების სათანადო მასალის განხილვამ დაგვანახვა, რომ ფინალურ-შედეგობრივი მნიშვნელობის დოპრევერბს არა აქვს შესატყვისი ქართულ პრევერბებს შორის; ქართული პრევერბები, როგორც წესი, ვერ ახერხებენ ფინალურ-შედეგობრივი მოქმედების წესის მნიშვნელობის გადმოცემას. ქართული ენა ასეთ მნიშვნელობას აღწერითად გადმოსცემს ისეთი დამატუსტებელი სიტყვების დახმარებით, რომლებიც ზოგადად მოქმედების დასრულებას, დამთავრებას აღნიშნავს<sup>13</sup>. ასეთი სიტყვებია: დამთავრება, მოთავება, დასრულება, ბოლომდე და მისთ.

აღწერით თარგმანში სათარგმნი ზმნის ფუძის მნიშვნელობა სათანადო ბრუნვაში დასმული სახელით არის გამოხატული, მაგ.: доесть ჭამის გათავება (ჭამის გათავებს); დовесить აწონის მოთავება (აწონის მოთავებს); დоучиться სწავლის დასრულება (სწავლას დაასრულებს) და სხვ. —, ზოგჯერ კი რუსული ზმნის ფუძის შესაბამისი ქართული ზმნით, ე. წ. აზრობრივი ზმნით<sup>14</sup>, მაგ.: до-вернуть ბოლომდე,

13 ვ. წიბანა შვილი, ზმნისწინის ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციები: „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1960, № 6, გვ. 33; მისივე, К вопросу о глагольной префиксации в русском и грузинском языках. Труды института სахалинско-турумского народного образования, Т. 83, филологический факультет მეცნიერებათა სერია, творческий институт, 1959, გვ. 265.

14 ამ ტერმინს (смысловой глагол) ხვარობს გ. ვიზგოვა. იბ. მისი. Способы передачи значения совершенного вида русских глаголов с префиксом по-средствами французского языка, Орловский государственный педагогический институт, 1968.

სულ ჩახრახნა (ჩახრახნის), доглядеть ბოლომდე ყურება (ბოლომდე უყურებს), ბოლომდე ნახვა; договорить ბოლომდე თქმა და სხვ.

მრავალ შემთხვევაში ამ ჯგუფის ზმნების თარგმნა მაინც ხერხდება ქართული პრევერბიანი ზმნებით. ასეთ შემთხვევებში უმთავრესად ქართული ზმნის ფუძე თვითონ აღნიშნავს ზოგადად მოქმედების დასრულებას<sup>15</sup>. მაგ.: довершить დაბოლოება, დამთავრება, დასრულება; докончить დამთავრება (დაამთავრებს), მოთავება, დასრულება: докончить письмо წერილის დამთავრება და ზოგი სხვ.

ზოგჯერ ქართული პრევერბიანი ზმნის მნიშვნელობა გულისხმობს დამთავრებულ მოქმედებას, ყოველ შემთხვევაში, ასეთ მოქმედებას, რომლის გაგრძელება არ ივარაუდება. მაგ.: добить მოკვლა, მოსპობა, განადგურება; доносить გაცვეთა (გაცვეთს); догореть ჩაქრობა; досиживать гаმოჩეკა (გამოჩეკს) და სხვ. ასეთი ზმნები დამაზუსტებელი სიტყვების დახმარებას არ საჭიროებს. ხშირად ამგვარი ქართული ზმნები სათარგმნი ზმნების მიმართ გამსხვავებულ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს. მაგ.: допить გამოცლა; доносить გაცვეთა; добить მოკვლა, მოსპობა, განადგურება და სხვ. აღსანიშნავია, რომ ასეთ თარგმანში არ ჩაში რუსული ზმნის ფუძეში გამოხატული ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოქმედების დასრულებას უძლვის წინ.

ქართული პრევერბები მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში ახერხებენ ფინალურ-შედეგობრივი მნიშვნელობის გამოხატვას (მაგ.: домопоть ჩამოფქვა; доцвести დაყვავილება<sup>16</sup>; допраздновать მოდღესასწაულება)<sup>17</sup>. უმრავლეს შემთხვევაში კი, როცა ქართულ ზმნურ ფუძეს არა აქვს მოქმედების დასრულების გაგება, ქართული პრევერბიანი ზმნები არ არის საკმარისი ფინალურ-შედეგობრივი მოქმედების წესის მნიშვნელობის გადმოსაცემად. დამოუკიდებლად, დამაზუსტებელი სიტყვების გარეშე ნახმარი ქართული პრევერბიანი ზმნები და პრევერბიანი ზმნების ფუძის სემანტიკას და სრული ასპექტის მნიშვნელობას გადმოსცემს, და-პრევერბით გამოხატული ფინალურ-შედეგობრივი მოქმედების წესის მნიშვნელობა კი გადმოუცემელი რჩება. მაგ.: дочистить დაშენდა (დაშენდს)<sup>18</sup>, доесть შეჭმა (შევჭამ), доверить დავგრეხ, дорезать დავჭრი<sup>19</sup>.

<sup>15</sup> გ. წიბახაშვილი, ზმნისწინის ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციები, უსარბ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1960, № 6, გვ. 33.

<sup>16</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემა, ტ. II, თბილისი, 1958.

<sup>17</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1937.

<sup>18</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ტ. II, 1958.

<sup>19</sup> Д. Чубинов, Русско-грузинский словарь, 1846.

ფინალურ-შედეგობრივი მოქმედების წესის მნიშვნელობის დოკუმენტისანი ზმნების თარგმნისას, რა თქმა უნდა, ქართულად მათი წმინდა ასპექტური მნიშვნელობაც გაღმოიცემა და არა მარტო სემანტიკურ-ასპექტური. აღსანიშნავია, რომ ფინალურ-შედეგობრივი მოქმედების წესის გამომხატველი სრულასპექტიანი ზმნების ასპექტური მნიშვნელობა გაღმოიცემა სხვადასხვა ქართული პრევერბით, რომელიც აღწერითი თარგმანის ზმნურ კომპონენტს ერთვის, მაგ.: დიესტ ჭამის გათავება (ჭამას გაათავებს); დოვერნუ ბოლომდე ჩახრახნა (ბოლომდე ჩახრახნის) და სხვ. —, ან დამოუკიდებლად ნახმარ ზმნას, მაგ.: დოვერში დაბოლოება (დააბოლოებს), დამთავრება, დასრულება; დომილი გამოლურვა; დიცვეს დაუყვავილება და სხვ., რაიმე ერთი შესატყვისი დო-პრევერბს, რა თქმა უნდა, არც სრული ასპექტის გამოსახატვად არა აქვს.

შესაბამისი უსრულასპექტიანი ფორმების ასპექტური მნიშვნელობა, ჩვეულებრივ, დამოუკიდებლად ნახმარი ან აღწერით კონსტრუქციაში შემავალი სათანადო უპრევერბო ზმნებით გაღმოიცემა. მაგ.: დიეგრივა თამაშის გათავება (თამაშს ათავებს); დოვესივა გაფენის მოთავება (გაფენას ათავებს); დოვერტივა ბოლომდე ჩახრახნა (ჩახრახნის); დოვერში დაბოლოება (აბოლოებს); დიბივა მოსპობა (სპობს); დოპივა გამოცლა (ცლის) და სხვ.

ამ ჩვეულების ზმნების ასპექტური განსხვავება ზოგჯერ ქართულ ზმნურ ფუძეთა მონაცვლეობით გაღმოიცემა, შდრ., მაგ.: დიეგრა ბოლომდე თამაში (ბოლომდე ითამაშებს) და დიეგრივა ბოლომდე თამაში (ბოლომდე თამაშობს); დოპერა ბოლომდე მღერა (ბოლომდე იმღერებს) და დოპერა ბოლომდე მღერა (ბოლომდე მღერის) და სხვ. —, ხან კი — სუპლეტური ფორმებით, შდრ., მაგ.: დინოსტ მთლად, ბოლომდე მიტანა (მიიტანს) და დინაშივა მთლად, ბოლომდე მიტანა (მიაქვს); დიკაზი ბოლომდე თქმა (ბოლომდე იტყვის) და დიკაზი ბოლომდე თქმა (ბოლომდე ამბობს) და სხვ.

როცა ქართულ ზმნურ ფუძეს არა აქვს მოქმედების დასრულების გაგება, უსრულასპექტიანი რუსული ზმნის თარგმნა შესაბამისი უპრევერბო ზმნით ვერ ხერხდება (უპრევერბოდ იკარგება მოქმედების წესის მნიშვნელობა) და საჭირო ხდება ასეთი ზმნის აღწერითად თარგმნა. შდრ., მაგ.: დიცვეს დაუყვავილება (დაიუყვავილებს) და დიცვეს ყვავილობის გათავება (ყვავილობას ათავებს) ან დიმოლი გამოლურვა და დიმოლაცივა ლერწვის გათავება (ლერწვას ათავებს) და სხვ.

3. ინტენსიურ-შედეგობრივი მოქმედების წესის გამოხატვა რუსულ ენაში დაკავშირებულია დი-პრევერბიან და -ცი ნაწილაკიან ზმნებთან. ასეთი ზმნები აღნიშნავს ხანგრძლივი ცდის შედეგად მოქ-

მედების მიზნის, გარკვეული შედეგის მიღწევას. ინტენსიურ-შედეგობრივი მოქმედების წესის გამომხატველი ზმნების მნიშვნელობა ორი კომპონენტისგან შედგება: პირველია მოქმედების მიზნის, გარკვეული შედეგის მიღწევა და მეორე — გარკვეული ცდა, ენერგიის დახარჯვა, რაც წინ უძღვის მიზნის ან შედეგის მიღწევას. ასეთი ზმნებია, მაგ.:  
დოკричатъся, добудиться, дозваться да ми сят.

თარგმნითი ლექსიკონების სათანადო მასალის შესწავლაზე დაგვა-  
ნახვა, რომ ინტენსიურ- შედეგობრივი მოქმედების წესის გამომხატვე-  
ლი დო- პრევერბიანი და -ცა ნაწილაკიანი სრულასპექტურიანი ზმნები  
ქართულად მო-, გამო-, გა-, და-, მო- და შე- პრევერბიანი ზმნებით გად-  
მოიცემა. მაგ.: добиться მიღწევა (მაღწევს): он добился цели мо-  
ზანს მიაღწია; додуматься მოაზრება, მოფიქრება, მიგნება: мы еще  
не додумались до решения этой задачи ამ ამოცანის ამოშსნას ჯერ  
ვერ მივაგენით; дознаться მიკვლევა, გამორკვევა; доискаться ვამო-  
ნახვა; докопаться ვამოჩხრევა; дождаться მოცდა (მოუცდის), და-  
ლოდება (დაელოდება)... я дождался конца спектакля წარმოდგვე-  
ნის გათავებას მოვუცდე, დაველოდე; дождались победы ვამარჯვე-  
ბას მოვესწარით; дорваться დახელოება (დაიხელოებს); договори-  
ться მორიგება (მოურიგდება), შეთანხმება: нам надо договорить-  
ся უნდა მოვრიგდოთ, შევთანხმდეთ და სხვ.

თეხი გვეხმარება: დიალისტი გვეხმარება: გვეხმარება: გვეხმარება:

აღსანიშნავია, რომ უმრავლეს შემთხვევაში თვითონ ქართული ზმნების ფუძეს აქვს შედეგის მიღწევის მნიშვნელობა. მაგ.: მიღწევა, მიგნება, მიკვლევა და სხვ., მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მიპრევერბის ხმარება ამ შემთხვევებში შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ, როგორც ზევით ოლვინიშნეთ, მი-პრევერბი საგანთანი მიახლოებასაც გამოხატავს, რასაც, თავის მხრივ, შედეგის მიღწევაც გულისხმობს. გამო-პრევერბის ხმარებაც ამ მაგალითთან აღმართობას ჩატარებულ პირთან დამაახლოებელი მიმართულების ჩავნების ფუნქციით აიხსნება. შედეგის მიღწევაც ზოგჯერ ხომ ფაქტობრივად საგანთან მიახლოებას გულისხმობს!

ზოგჯერ ქართული პრევერბები რსული ზმნის ფუძისაგან განსხვავებულ ზმნურ ფუძეს ერთვიან; ასეთი ცორმები სათარგმნი ზმნების მიმართ განსხვავებულ სიტყვებს წარმოადგენს. ასეთ თარგმანში არ არის ასახული სათარგმნი ზმნის ფუძით გამოხატული მოქმედება, რომელიც, როგორც ვთქვით, შედეგის მიღწევას უძლვის წინ. ას რომ, ასეთ თარგმანში გადმოცემულია ინტენსიურ-შედეგობრივი მოქმედების წესის მნიშვნელობის შეალლოდ ერთი კომპონენტი. ამიტომ სათარ-

გმნის ფუძის მნიშვნელობის გადმოსაცემად საჭირო ხდება და-  
მაზუსტებელი სიტყვების მოშველიება. ასეთი სიტყვები ჩვეულებრივ  
მოქმედებით ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგ.: დопро-  
ситься тѣмъно, ხვეწნით გავეთხѣბიხѣ<sup>20</sup>; დозвониться რეკвиთ გა-  
გონება; докопаться тѣрнит მიღწევა, მიგნება. ილუსტრაციების თარ-  
გმნისას ეს დამხმარე სიტყვები პირიანი ფორმით არიან მოცემული.  
ასეთი კონსტრუქცია ძალიან ბუნებრივია. მაგ.: не мог дозвониться  
к вам по телефону гირეკეთ და ვერ გაგვინეთ; не могу дознаться,  
куда он ушел гаმოვიყითხე, მაგრამ ვერ გავიგე, სად წავიდა; доко-  
пались до древних могильников тხარეს და ძველ სამაროვნებს მი-  
აგნეს და სხვ.

ვრცელ კონტექსტში დამაზუსტებელი სიტყვების მოშველიება  
აუცილებელი არ არის.

ამ ჯგუფის ზმნები ქართულად უპრევერბო ზმნებით ითარგმნება,  
როცა უპრევერბო ზმნების ფუძეს თვითონ აქვს შეღეგის მიღწევის  
მნიშვნელობა. მაგ.: დინკა პოვნა (იპოვის); ეგ არ დინკა მაგრამ ზმნების  
მის ნახვას ვერ ეღირსები და ზოგი სხვა. ეს ზმნებიც სათარგმნი ზმნე-  
ბის მიმართ განსხვავებულ სიტყვის წარმოადგენს. ამ შემთხვევებშიც  
დი-პრევერბიანი ზმნების სემანტიკის მხოლოდ ერთი კომპონენტი —  
შედეგის მიღწევა — გადმოიცემა.

ყველა იმ შემთხვევაში, როცა ამ ჯგუფის ზმნები ქართულად პრე-  
ვერბიანი ზმნებით ითარგმნება, ეს პრევერბები რუსული ზმნების სრუ-  
ლი ასპექტის მნიშვნელობასაც გადმოსცემენ. მაგ.: დინტი მიღწევა  
(მიაღწევს); დიგვირი მორიგება (მოურიგება) და სხვ. ზოგჯერ  
სრულასპექტიანი ზმნს ასპექტური მნიშვნელობა ქართული უპრე-  
ვერბო სრულასპექტიანი ფორმით გადმოიცემა. მაგ.: დინკა პოვ-  
ნა (იპოვის), შდრ. პოულობს; ეგ არ დინკა მაგრამ ვერ ეღირსები და სხვ. ამ ჯგუფის ზოგ ზმნას მეორეული იმპერიუქტივა-  
ციის შედეგად მიღებული საოპოზიციო უსრულასპექტიანი ფორმა  
აქვს. ეს ფორმები უმთავრესად იმავე ქართული ზმნების უპრევერბო  
ფორმებით გადმოიცემა, რადგან შედეგის მიღწევის გავება თვითონ ამ  
ზმნების ფუძესა აქვს. მაგ.: დინტი მიღწევა (აღწევს); დიდუმი-  
ვაться მიგნება (აგნებს) და სხვ. ზოგ უპრევერბო ქართულ ზმნას კონ-  
ტექსტში აღვიქვამთ როგორც სათანადო სრულასპექტიანი ზმნის საო-  
პოზიციო უსრულასპექტიან ფორმას. მაგ.: დისლუტივი დამსახუ-  
რება (იმსახურებს) და სხვ.

20 რუსულ-ქართული ლექსიკონი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბი-  
ლისი, 1937.

ინტენსიურ-შედევობრივი მოქმედების წესის მნიშვნელობის მქონე უსრულასპექტური ზმნების ზუსტად თარგმნა ყოველთვის ვრცელდება, რადგან უპრევერბო ზმნით თარგმნისას გადმოუცემელი რჩება მათი სემანტიკურ-ასპექტური მნიშვნელობა. მაგ.: დოдумываться მთაზრება (მოიაზრებს), მოფიქრება (მოიფიქრებს); დოპрашиваться გამოთხოვა (გამოსთხოვს) და სხვ. უპრევერბოდ ამ ზმნებს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია, რომ შინაარსით ამ რუსულ პრევერბიან ფორმებთან ყველაზე ახლოს ხოლმე ნაწილაკიანი ფორმები დგას და, სადაც კი მოხერხდება, სწორედ ამ ფორმით უნდა ვთარგმნოთ ისინა.

4. ინტენსიური მოქმედების წესის მორჩევა ნაირსახეობას წარმოადგენს უარყოფით-შედეგობრივი მოქმედების წესი, რომლის გამოხატვა რუსულ ენაში აგრეთვე დო-პრევერბიან და -ცა ნაწილაკიან ზმნებთან არის დაკავშირებული. ასეთი ზმნები რაიმე განაჭირებული მოქმედების უარყოფით შედეგს აღნიშნავს; უარყოფითი შედეგი ან დო წინდებულიანი რუსული სიტყვით არის ხოლმე გამოხატული (მაგ.: он добегался до простуды, дочитался до головной боли და съёз.), ან კიდევ ფორმულით: „დო თიგ, что + ის რაც შეემთხვა, დაუმართა სუბიექტს“ (მაგ.: он докатался до того, что простудился и слег; он досиделся до того, что опоздал на поезд და სъёз.), სათანაოო უსრულასპექტიანი ფორმები ნაკლებად გავრცელებულია.

რუსულ-ქართული ლექსიკონების სათანადო მასალის განხილვაში დაგვანახვა, რომ უარყოფით-შეღევობრივი მნიშვნელობის გადმოცემა ქართული პრევერბებით ვერ ხერხდება. ქართული ენა ამ მნიშვნელობას აღწერითად გადმოსცემს. ყველაზე ხშირად ასეთი ზმნების სათარგმნად შემდეგი მოდელი გვხვდება: იმდენი, იმდენის, იმდენ ხანს, იქამდე, იმ ზომამდე + რუსული ზმნის ფუძის შესაბამისი ქართული მასდარი ან პირიანი ფორმა (პირიანი ფორმის თარგმნისას) + კაზირი (რომ, სანამ, ვიდრე). მაგ.: dobegat'sya იმდენი ჩხერნა, რომ... (იმდენს ირბენს, რომ...): он добегался до простуды იმდენი ირბიна, რომ გაცივდა; დოიграться იმდენი თამაში, სანამ... (იმდენს ითამაშებს, სანამ...): мальчики донгрались до драки ბიჭებმა იმდენი ითამაშეს, სანამ ჩხუბი არ მოუვიდათ და სხვ. ალსანიშნავია, რომ ამ ჭგუფის ზმნების გადატანითი მნიშვნელობის თარგმნისას სათარგმნი ზმნის ფუძის შესაბამისი მასდარის (ან პირიანი ფორმის) მაგივრიდ ქნა//იზამს სიტყვა იხმარება. მაგ.: დოიграться იმდენს იზამს, რომ... დოიგраешься до того, что попадешь в беду იმდენს იზამ, რომ ფათერაკში ჩავარდები; დოპрыгаться იმდენს იზამს, რომ...: он допрыгался доувольнения გადატ. იმდენი ქნა, რომ დაითხოვეს და სხვ.

ზოგჯერ სათარგმნი ზმნის ფუძის მნიშვნელობა მიცემით ბრუნვა-ში დასმული სიტყვით გადმოიცემა. მაგ.: он договорился до хри-  
пости ლაპარაკით ხმა ჩაეხლიხა; он доработался до изнеможения  
მუშაობით გაწყდა<sup>21</sup>.

ნაკლებად მარჯვეა მეორე სახის აღწერითი კონსტრუქცია, რომე-  
ლიც უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ლექსიკონში გვხვდება და-  
რომელიც შედგება სათარგმნი ზმნის ფუძის შესაბამისი ზმნისა და-  
-მდე თანდებულიანი სიტყვისაგან, რომელიც აღნიშნავს, თუ რა შე-  
ემოხვა სუბიექტს: докричаться до хрипоты ყვირილი ხმის ჩახლე-  
ჩამდე და მისთ.

თვითონ უარყოფითი შედევი, რომელიც რუსულ ენაში დо წინ-  
დებულიანი სახელით არის გამოხატული, ან ფორმულით: „до того,  
что + ил, რაც შეემოხვა სუბიექტს (პირიანი ფორმით)“, — ქართულ  
თარგმანში, ჩვეულებრივ, პირიანი ფორმით გადმოიცემა. მაგ.: он до-  
читался до головной боли იმდენი იყითხა, რომ თავი ასტკივდა; он  
докатался до того, что простудился и слег იმდენი ისეირნა, ვიდრე  
არ გაცივდა და არ ჩაწვა; გაცილებით იშვიათია -მდე თანდებულიანი  
სიტყვით გადმოცემა. მაგ.: докричаться до хрипоты ყვირილი ხმის  
ჩახლეჩამდე<sup>22</sup> და მისთ.

ამ ჭგუფის ზმნები განსხვავებული სიტყვით მაშინ ითარგმნება,  
როცა ქართული ზმნების ფუძის სემანტიკა თვითონ ითვალისწინებს  
უარყოფით შედეგს. მაგ.: докатиться გაბმა (გაებმება), ჩავარდნა (ჩა-  
ვარდება): он докатился до беды ხიფათში გაება; дорваться ატეხა  
(ატეხს), დამართება (დაიმართებს): этак дорвешься до беды ასე  
შენ თავს უბედურებას დამართებ.

რაც შეეხება ამ ჭგუფის სრულასპექტიანი ზმნების ასპექტური-  
მნიშვნელობის ცადმოცემას, სათარგმნი ზმნების ფუძის შესაბამისი-  
ზმნები უსრულასპექტიანი ფორმითაა წარმოდგენილი თარგმანში, მაგ-  
რამ ამის კომპენსაციას ახდენს პრევერბები, რომლებიც უარყოფითი  
შედეგის გამომხატველ სიტყვებს ახლავს; ასე რომ, ასეთ მოქმედებას-  
მთლიანად აღვიკვამთ როგორც დასრულებულს, მაგ.: он дочитался до-  
головной боли იმდენი იყითხა, რომ თავი ასტკივდა; он добегался  
до простуды იმდენი იტბინა, რომ გაცივდა; он доплясался до го-  
ловокружения იმდენი იცეკვა, რომ თავბრუ დაესხა და სხვ.

განსხვავებული სიტყვებით თარგმნისას სრული ასპექტის მნიშ-  
ვნელობა ქართული პრევერბებით გადმოიცემა. მაგ.: дорваться ატე-

21 რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გა-  
მოცემა, თბილისი, 1937.

22 აქვთ.

ხა (აიტებს), დამართება (დაიმართებს); докатиться гаბма (გაებმება), ჩავარდნა (ჩავარდება) და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის ზმნების უსრულასპექტიანი ფორმები ნაკლებად გაერცელებულია, აკადემიის ლექსიკონში მხოლოდ ერთი უარყოფით-შედეგობრივი უსრულასპექტიანი ზმნა შედის. ამ ფორმების ასპექტური მნიშვნელობა უმთავრესად ქართული უპრევერბო ზმნებით გადმოიცემა. მაგ.: доигрываться იმდენს თამაშობს, რომ... დоплясываться იმდენს ცეკვავს, რომ...; дочитываться იმდენს კითხულობს, რომ...; дописываться იმდენს წერს, რომ... ერთხელ გადმოცემულია სუპლეტური ფორმით (მაგ.: досиживаться იმდენ ხანს ზის, რომ... შდრ. იჯდება).

5. პარტიტიულ-კომპლეტიური<sup>23</sup> მოქმედების შესის მნიშვნელობის დი-პრევერბიანი ზმნები აღნიშნავენ ზოგადად რისამე დამატებას, დამატებით მოქმედებას. ამ გვუფის ზმნებისთვის დამახასიათებელია ნათესაობითიანი პარტიტიული სინტაქსური კონსტრუქცია. მაგ.: долить воды, досыпать муки და სხვ. თუმცა ამისთანა ზმნებთან არც ბრალდებით ბრუნვაში დასმული სახელის დართვაა შეუძლებელი. მაგ.: дополучить продукты, доследовать дело და ზოგი სხვ.

პრევერბიან პარტიტიულ-კომპლეტიურ ზმნებთან ხშირად იხმარება რიცხობრივი შინაარსის სიტყვები. მაგ.: докупить метр шерсти და მისთ.

თარგმნითი ლექსიკონების მასალის განხილვამ გვაჩვენა, რომ ქართულ პრევერბებს არ შეუძლია დი-პრევერბით გამოხატული პარტიტიულ-კომპლეტიური მნიშვნელობის გადმოცემა. ქართული ენა ამ მნიშვნელობას აღწერითად გადმოსცემს, დამაზუსტებელი სიტყვების დახმარებით, რომლებსაც განმეორებით-დამატებითი მოქმედების მნიშვნელობა აქვთ: დამატებით, დანარჩენის, დარჩენილის, დანაკლისის, კიდევ და სხვ. ასეთ აღწერით თარგმანში რუსული ზმნის ფუძის მნიშვნელობა ქართული აზრობრივი ზმნით გამოიხატება. მაგ.: докупить დამატებით ყიდვა (დამატებით იყიდა): он докупил метр сукна დამატებით ერთი მეტრი მაუდი იყიდა; დოпечатать დამატებით დაბეჭდვა.

23 სავსებით მართებულად მიგვაჩნია აზრი მ. შელია ენისა, რომელიც პარტიტიულ-კომპლეტიურ მნიშვნელობას რუსული ზმნის მოქმედების შესის მნიშვნელობათა რიცხვს მიაკუთხნებს. კომპლეტიური მნიშვნელობა არ ცვლის მარტომოებელი ფუძის მნიშვნელობას და მხოლოდ მოქმედების შესრულების გარევალ წესს გამოხატავს. იხ. ზოსი Комплетивное значение приставочных глаголов в русском языке: Научные доклады высшей школы, филологические науки. 1965, № 3, გვ. 19.

ცალკეულ შემთხვევებში დო-პრევერბიანი პარტიტიულ-კომპლეტიური მნიშვნელობის მქონე ზმნების თარგმნა ქართული პრევერბიანი ზმნებითვე ხერხდება; ასეთ შემთხვევებში ძირითად როლს ქართული ზმნის ფუძის მნიშვნელობა ასრულებს. მაგ.: დიобавить დამატება (დაამატებს), მიმატება, დართვა; დიложит დამატება (დაამატებს), ჩამატება; დილит დამატება, ჩამატება და სხვ. ხშირად ეს პრევერბიანი ზმნები სათარგმნი ზმნების მიმართ განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს. ასეთ თარგმანს ის ნაკლი აქვს, რომ ამ ფორმებში არ არის ასახული რუსული ზმნების ფუძის მნიშვნელობა. ასეთია, მაგალითად, დილит დამატება, ჩამატება; დიложит დამატება, ჩამატება აა მისთ. ამგვარად, ამ ჯგუფში შემავალი ზმნების პრევერბიანი ზმნებით თარგმნისას დამატებითი მოქმედების მნიშვნელობას ქართული ზმნების ფუძის სემანტიკა გამოხატავს, პრევერბები კი სრულ ასპექტს აწარმოებენ.

პარტიტიულ-კომპლეტიური მნიშვნელობის მქონე სრულასპექტიანი ზმნების ასპექტური მნიშვნელობა უმრავლეს შემთხვევაში ფადმოიცემა ქართული პრევერბებით, რომლებიც ან ალწერითი თარგმანის პირიან კომპონენტს ერთვიან, ან დამოუკიდებლად ნახმარ ცალკეულ ზმნებს. მაგ.: დიбрать დამატებით მოგროვება (მოაგროვებს); დიপлатить დამატებით გადახდა (დამატებით გადაიხდის); დიобавить დამატება (დაამატებს, დაუმატებს), მიმატება, დართვა და სხვ.

შესაბამისი უსრულასპექტიანი ზმნების პარტიტიულ-კომპლეტიური მნიშვნელობაც ქართულად იმავე დამაზუსტებელი სიტყვების დახმარებით გადმოიცემა, მათი ასპექტური მნიშვნელობა კი — სათანადო აზრობრივი ზმნის უპრევერბო უსრულასპექტიანი ფორმით. მაგ.: დიбирать დამატებით მოგროვება (დამატებით აგროვებს); დიплачивать დამატებით გადახდა (დამატებით იხდის) და სხვ.

ამ ჯგუფის დო-პრევერბიანი ზმნების დამოუკიდებლად ნახმარი ზმნებით თარგმნისას უსრულასპექტიანი ფორმების ასპექტური მნიშვნელობა ამავე ზმნების უპრევერბო ფორმებით გადმოიცემა, რადგან ამ შემთხვევებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ზმნების ფუძეს თვითონ აქვს დამატებითი მოქმედების გაგება. მაგ.: დიобавлять დამატება (ამატებს), დართვა (ურთავს) და სხვ.

ცალკეულ შემთხვევებში სათარგმნი ზმნების ასპექტური მნიშვნელობა ქართული ზმნის მონაცვლე ფუძეებით გადმოიცემა: შდრ., მაგ.: დიкупить დამატებით ყიდვა (დამატებით იყიდის) და დიкупать დამატებით ყიდვა (დამატებით ყიდულობს) —, ან გადმოიცემა სუბლეტური ფორმებით: შდრ., მაგ.: დიдать დანარჩენის მიცემა (მისცემს) და დიдавать დამატებით მიცემა (დამატებით აძლევს).

ზოგ შემთხვევაში კომპლეტური მნიშვნელობის და-პრევერბიანი ზმნები დამატებითი მოქმედების შედეგად რამე ჭურჭლის, სათავ-სის და მისთ. გავსებას ოღნიშნავენ<sup>24</sup>. ამ მნიშვნელობის ზმნებისთვის დამახასიათებელია მოქმედებითბრუნვიანი კონსტრუქცია. ბ. შელია-კინი ამ მნიშვნელობას ფინალურ მნიშვნელობად მიიჩნევს და განას-ხვავებს მას პარტიტიულ კონსტრუქციიანი მნიშვნელობისაგან. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია და-პრევერბის ასეთ მნიშვნელობას ფი-ნალურ-კომპლეტური ვუწოდოთ, რადგან ასეთი ზმნები გამოხატავენ დამატებით მოქმედებას ფინალური ეტაპის მისაღწევად. ფინალურ-კომპლეტიური ზმნების სემანტიკა ორ კომპონენტს შეიცავს: მოქმე-დების განმეორებას, დამატებით რისამე გაკეთებას და ასეთი მოქმე-დების შედეგად რისამე შეესებას, გავსებას.

ფინალურ-კომპლეტიური ზმნების სათარგმნად ძალიან მარჯვება  
შე-პრევერბიანი შეავსებს და შეუსრულებს და ა- პრევერბიანი აათა-  
ვებს ზმნები, რომლებიც სათარგმნი ზმნების სემანტიკის ორივე კომ-  
პონენტს გადმოსცემენ; ფინალურ მნიშვნელობას თვითონ აქ დასახე-  
ლებული ზმნების ფუძე გამოხატავს. ეს ზმნები ზოგჯერ სათარგმნი  
ზმნების მიმართ განსხვავებულ ერთეულს წარმოადგენს. მაგ.: დоб-  
рать... ձთვება (აათავებს), შევსება: добрать сотрудников до полно-  
го штата таნამშრომლების დამატებით აუგანა შტატის შესავსებად;  
добрать деньги до нужной суммы საჭირო თანხის ათავება; долить...  
შევსება (შეავსებს)... долей себе стакан შეივსე ჭიქა და სხვ.

როგორც ვხედავთ, ფინალურ-კომპლეტიური მნიშვნელობით ნახ-  
მარი დო- პრევერბიანი ზმნა პარტიტულ-კომპლეტიურ მნიშვნელობით  
ნახმარი იმავე ზმნის თარგმანისაგან განსხვავებულ თარგმანს მოით-  
ხოვთ. შედრ., მაგ.: долей воды в чайник წყალი ჩამატე ჩაიდანში და  
долей чайник водой ჩაიდანში წყალით შეავსე.

აღსანიშნავია, რომ იგივე შე- და ა- პრევერბები სათარგმნი ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობასაც გადმოსცემენ; სათანადო უსრულასპექტიანი ზმნების უპრევერბო ზმნებით თარგმნა ვერ ხერხდება, რადგან ამ შემთხვევაში გადმოუცემელი დარჩება მათი სემანტიკურ-ასპექტური მნიშვნელობა. შინაარსით ყველაზე ახლოს ამ ფორმებთან ხლომე ნაწილაკიანი ფორმები დგას და, სადაც კი მოხერხდება, ცწორედ ამ ფორმით უნდა ვთარგმნოთ ისინი.

ამგვარად, დო-პრევერბიანი ზმნების ფართული დ თარგმნის საშუალებათა განხილვისას გაიჩინა, რომ: 1) მიმართულების აღმნიშვნელი,

<sup>24</sup> Б. Н. Головин, Словообразовательная типология русских приставочных глаголов: *зарубежное «Славянское языкознание»*, Москва, 1959.

კერძოდ, სივრცეში ზღვრის მიღწევის გამომხატველი დო-პრევერბი სხვადასხვა ქართული პრევერბით გადმოიცემა. ქართულ თარგმანში ზღვრის მიღწევის ჩვენება - მდე თანდებულს ეკისჩება. დროში ზღვრის მიღწევის აღმნიშვნელი დი-პრევერბიანი ზმნები უპრევერბო ქართული ზმნებით ითარგმნება. ამ შემთხვევაშიც ზღვრის მიღწევას - მდე თანდებული აღნიშნავს.

2) მოქმედების წესის მნიშვნელობების გადმოცემას ქართული პრევერბები, ჩვეულებრივ, ვერ ახერხებენ. და-პრევერბით გამოხატულ მოქმედების წესის მნიშვნელობებს ქართული ენა ოშერითად გადმოსცემს, დამაზუსტებელი, სათანადო შინაარსის მქონე სიტყვების დახმარებით. იმ ფალკეულ შემთხვევებში, როდესაც ასეთი რუსული ზმნები ქართული პრევერბიანი ზმნებით ითარგმნება, ამა თუ იმ მოქმედების წესის მნიშვნელობა ჩვეულებრივ ქართული ზმნების ფუძის მნიშვნელობით გადმოიცემა. მხოლოდ ერთეული შემთხვევები გვხვდება, როცა ესა თუ ის ქართული ზმნა მხოლოდ გარკვეულ პრევერბთან ერთად ახერხებს ამა თუ იმ მოქმედების წესის მნიშვნელობის გადმოცემას.

3) ქართულად გაღმიოცემა ჩუსული ზმნების და-პრევერბით გამოხატული როგორც სემანტიკური და სემანტიკურ-ასპექტური, ისე წმინდა ასპექტური მნიშვნელობები. რუსული პრევერბიანი უსრულას-პექტიანი ფორმების ზუსტად თარგმნა ყოველთვის ვერ ხერხდება.

დასასრულ, კიდევ ერთ საკითხზე უნდა შევხერდეთ. რუსულ ენა-  
ში არსებობს რთული недо- პრევერბი, რომელიც პრეფიქსისა და  
პრეფიქსის მქონე საწარმოებელი სიტყვის შეხვედრის მიჯნაზე მომ-  
ხდარი გადაჯგუფების შედეგად არის მიღებული<sup>25</sup>. недо- პრევერბი  
მოქმედების ნაკლებობას, უკმარისობას, ნაკლოვანებას აღნიშნავს. მაგ.:  
недобрать, недовесить, недовыполнить და სხვ. ზოგჯერ ერთმანეთ-  
ში ურევენ недо- პრევერბიან და უარყოფიან დო- პრევერბიან ზმნებს;  
მათი გარჩევა კი აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ეს ფორმები  
განსხვავებულ თარგმანს მოითხოვს. უარყოფიანი დო- პრევერბიანი  
ზმნების თარგმნისას დო- პრევერბიანი ზმნების თარგმანს ემატება უარ-  
ყოფითი ნაწილაკები არ და ვერ (პირველი მათგანი კატეგორიული  
უარყოფის დროს; მეორე იმ შემთხვევაში, როცა უარყოფა შესაძლებ-  
ეოდის ფარგლით არის შეზღუდული)<sup>26</sup>.

недо- Зрівзярбліс Шесятчуквию ғаრотуул Зрівзярблісіліс ар  
мопеңзіндең; недо- Зрівзярблісінің ზміндең ғаრотуулад, ჩვეუլләбіріз,  
пітоңгұмбіндең әлшінінінің, мәтейлінің Шесятчуквию ғааралық, әкемелінің Шеяджанда:  
сағымасарынаң ар (зерт), мәтеппінің ар (зерт), қаңғаңда ар (зерт), қаң-  
ғаңда ар (зерт), қаңғаңда ар (зерт) һітчуквию ғааралық ғааралық ғааралық.  
Мағ.: недовыполнить мәтеппінің ар Шесятчуквию (мәтеппінің ар Шесят-  
чуквию): цех недовыполнил план һаафтером геометрия мәтеппінің ар  
Шесятчуквию; недополучить мәтеппінің ар монитор (мәтеппінің ар мони-  
тор); недобрать һаафтером қаңғаңда біннің зерт Шеяджанда, зерт монитор-  
ға (зерт Шеяджанда, зерт мониторға)... игрок недобрал очки мәтеп-  
пінің зерт Шеяджанда һаафтером қаңғаңда зерт Шеяджанда; недослышать  
қаңғаңда зерт гаражнебілдік (қаңғаңда зерт гаражнебілдік): он недослышал, что  
ему сказали баң қаңғаңда зерт гаражнебілдік, қаңғаңда зерт гаражнебілдік.

ზოგჯერ უარყოფითი ნაწილი ერთვის დამხმარე სიტყვას: არა-სრულად, არასაკმარისად, უკმარისად. მაგ.: недовыполнить аркасру-ლаад შესრულება; недогрузить аркасруლი დატვირთვა (аркасруლად დატვირთავს); недодержать аркасკმარისად გაჩერება (გააჩერებს) და სხვ.

Безр. Шефтекъезашо недостаточно для выделения в отдельную группу. Вторая группа, включающая в себя сорок пять селений, расположенных в южной части района, имеет следующие признаки: 1) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 2) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 3) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 4) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 5) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 6) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 7) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 8) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 9) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 10) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 11) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 12) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 13) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 14) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 15) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 16) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 17) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 18) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 19) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 20) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 21) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 22) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 23) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 24) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 25) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 26) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 27) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 28) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 29) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 30) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 31) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 32) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 33) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 34) в селениях преобладают крестьянские хозяйства; 35) в селениях преобладают крестьянские хозяйства.

როცა დაკლება ზმა დამოუკიდებლარ არის ნახმარი, გაშინ სა-  
თარგმნი ზმნის მიმართ ის განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულს წარ-  
მოადგენს. მაგ.: недополучить... он недополучил пять книг... ხუთი  
წიგნი დააკლეს.

ძალიან მარჯვეა უდი- პრევერბიანი ზმნების სათარგმნად აღრეთ-  
ვე ნაკლები, ნაკლებად სიტუაციების გამოყენება. მაგ.: უდოვეს ნაკ-  
ლების აჭონა: ის უდოვეს მე მასლა კარაჟი ნაკლები ამიშონა;  
უდომერით... ნაკლების აზომვა: ის უდომერი მე სირი სანტი-  
მეტრო... ორმოცი სანტიმეტრით ნაკლები ამიზომა.

27 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ი nedo- პრევერბიანი ზმნები უარ-  
ყოფიანი დo- პრევერბიანი ზმნებისაგან განსხვავებულ თარგმანს მო-  
ითხოვს. ასე მაგ.: იn დოვესილ მუკა, თა უშელ კუდა-თი ქართუ-  
ლად იქნება: არ დამთავრა ფქვილის აწონა, ისე წავიდა საღლაც; იn  
ნედოვესილ მნე მასლა კი — კარაქი დამაკლო, კარაქი ნაკლები ამი-  
წონა და ა. შ.

nedo- პრევერბიანი ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობა ქარ-  
თულად სხვადასხვა პრევერბით გადმოიცემა, რომელიც აღწერითი  
თარგმანის პირიან კომპონენტს ახლავს, სათანადო უსრულასპექტიანი  
ზმნების ასპექტური მნიშვნელობა კი — აღწერითი თარგმანის უპრე-  
ვერბო ზმნით. შედრ., მაგ.: ნედოვესილ წონაში დაკლება (წონაში და-  
კლებს) და ნედოვესილ წონაში დაკლება (წონაში აკლებს).